



# გაბასოვებს ნარსული, გაგუფრთხილდეთ ანგოს და მოგაგულს

**სრულიად** საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზმა პანდემიის გამო იძულებით შეწყვეტილი საქმიანობა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა. მიმდინარე წლის განვლილ ხუთ თვეში გამგეობის რამდენიმე სხდომა გაიმართა და თანამედროვე ეტაპზე სერიოზული პროგრამები შემუშავდა მუშაობის გასაქმტურებლად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დარბაზის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უმუშევართა დასაქმებას, ხელმოკლე ოჯახებისადმი თანადგომას, ახალგაზრდების პროფესიულ განათლებაში ჩაბმას და სხვა.

მეტად მნიშვნელოვანია ქართული გვარების დაახლოების, შეკავშირება-გამთლიანების პროგრამა, რომელიც დიდ ადგილს უთმობს გვარი შვილთა სამშობლოს სიყვარულის და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, ერის გამთლიანებაში ღირსეული წვლილის შეტანას.

მიუხედავად იმისა, რომ გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობა აპოლიტიკური სამოქალაქო ორგანიზაციაა, მტკუნეულად განიცდის ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების დაქსაქსულობას, რადიკალური ოპოზიციის არაკორექტულ დამოკიდებულებას დედაეკლესიის და ქვეყნის ხელისუფლებისადმი, რაც მეტად დაძაბულ-არასასაბოლოო ვითარებას ქნის ერის გამთლიანების და ქვეყნის განვითარების საპასუხისმგებლო ამოცანების გადამწყვეტში.

სრულიად გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავკაცის ბატონ ირაკლი ბრეგვაძის დიდი ძალისხმევით და ტელეკომპანია „ქართული IV“ დირექტორის (დირექტორი ქალბატონი **მანანა იმედაძე**) თანადგომით და მხარდაჭერით ამიერიდან ყოველ სამშაბათობით 22 საათზე ბერეგვაძის გავა **ირაკლი ბრეგვაძის** საავტორო გადაცემა „წუთისოფელი“, რომელიც მაცურებელ მოუთხოვს გვარების წინამძღოლთა დარბაზის მიზანმიმართულ ამოცანების

შესახებ, მაცურებელს გააცნობს ცალკეული გვარების მიერ ერთთვის სასიკეთო საქმიანობის მაგალიტებს.

13 მაისს ტელეეთერში პირველი გადაცემა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ირაკლი ბრეგვაძე, საგვარეულო დარბაზის გამგეობის უწყვეტი წევრები: ჯემალ ადამაშვილი და ვალერიან ლომიძე, რომლებმაც ვრცლად ისაუბრეს საგვარეულო დარბაზის მიზნებზე და ამოცანებზე, მიმოიხილეს ქართული გვარების წინაშე არსებული გამოწვევები, ყურადღება გამახვილდა ერის გამთლიანების საქმეში გვარების მამულიშვილო, მეტად დიდ საპასუხისმგებლო და საშვილიშვილო მოვალეობის პირნათლად შესრულებაზე.

სხვისებურს შეგონება „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“. არასდროს არაა დასაყინებელი. ახლა ყველაფერი ისე აირია, ეს მონოდება ნაყალბეცმა პათეტიკამ შთანთქმა არადა თითოეული ადამიანი საკუთარ თავს, შთამომავლობას უნდა შეახსენებდეს და მოძღვრავდეს „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“ და ამაყობდეს საკუთარი გვარით. იდენტობა მხოლოდ ფიზიკოლოგიური მოთხოვნებით არ დასტურდება, ეს ფრაზა სერიოზულ ღირებულებებს გულისხმობს, რომელიც ადამიანის სისხლში, ძარღვებში მოძრაობს, ანუ „იმ გორისა ხარ“ დაკისრებულ მოვალეობას თურა გულით ემსახურები, როგორია შენი დამოკიდებულება სამშობლოს წინაშე. დღეს ჩვენი მოვალეობა გვარის ისტორია, კეთილი ტრადიციები და იდენტობა გავაცოცხლოთ შთამომავლობაში.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, ჩვენმა სულიერმა მოძღვარმა ილია მეორემ - განაცხადა, - „დღეს როგორც არასდროს საქართველოს გადარჩენასა და განვითარებაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართუ-

ლი გვარების ერთსულოვნებას და სამშობლოს საკეთილდღეო საქმიანობას“. ეს შეგონება თითოეულმა ჩვენთაგანმა გულის ფიციარზე უნდა დავინეროთ და როგორც ჯვარი ჩვენი საფიცარი, ისე უნდა ვზოდოთ, როგორც მაცხოვარმა ზიდა გოლგოთამდე.

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, გვარსადმი სიამაყის გრძობა კიდევ უფრო გათავსდება, როცა ხედავ შენს გარშემო მრავალსახელოვან, კეთილსინდისიერ, ღვანლმოსილ და დაფასებულ სახლიკაცს. თითოეულმა ჭეშმარიტმა ქართველმა საგულდაგულოდ უნდა შეისწავლოს თავისი გვარის ისტორია, ცდილობდეს მის გაძლიერებას და შთამომავლობას გადასცემდეს წინაპართა განვლილ გმირულ ისტორიას.

საქართველოში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა გვარის წარმომადგენელთა შებენიერება. ეს თავგანთავებები იმითაცაა საინტერესო, რომ სახლიკაცები მსჯელობენ გვარში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე. ახალგაზრდებს შეახსენებენ გვარის სახელოვან ისტორიასა და ტრადიციებს, მოუწოდებენ გვარის გამარჯვლების და სამშობლოს ერთგული სამსახურისაკენ, ეხმარებიან სოციალურად დაუცველ გვარის წარმომადგენლებს, იზიარებენ გვარში არსებულ სიხარულს და თანაუგრძობენ დამწესრებულებს, იხსენებენ და პატივს მიაგებენ გარდაცვლილ მოგვარეებს და სხვა.

გადაწყდა, თითოეული რეგიონის მიხედვით დაიხვეწოს სამოქმედო პროგრამა, გვარების ისტორიის შესასწავლად მოინვეცენ ცნობილი ეთნოგრაფები და ეთნოლოგები. ვისაც სურვილი ექნება, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, მომზადდება კონკრეტული გვარის ისტორია. დარბაზი ითვალისწინებს წარმატებული გვარების გამოცდილების საჯაროდ გაანალიზებას, რეგიონებში გასვლით ღონისძიებებს და სხვა აქტივობების გამართვას.

საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, ალბათ ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა,

რომელიც კეთილშობილურ ჰუმანურ და პატრიოტულ საქმიანობას უნდა გავრავლოთ და ერთსაზრდოვანად საქართველოში ემსახურება უდიდეს ეროვნულ და მამულიშვილურ საქმეს, ქართული გვარების ისტორიის შესწავლას, ერის წინაშე არსებული უამრავი პრობლემების მოგვარებაში შესაძლო წვლილის შეტანას, რაც მთავარია, ერის ანუ გვარი შვილების სულიერი და ზნობრივი სულისკვთებით აღზრდას, დედაეკლესიასთან მჭიდრო კავშირით და მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებით ზრუნავს ერის გამთლიანება-სრულყოფისათვის. ახალგაზრდობაში ქართული ტრადიციების, მემკვიდრეობითობის, იდენტობის დაცვის, სამშობლოს ისტორიის სწავლებით სრულყოფილი გვარი შვილთა წინაშე არსებული უამრავი პრობლემების გადაწყვეტა, ყველას, დიდსაც და პატარასაც უნდა ახსოვდეს უპირველესი შეგონება „ვისი გორისაა“, საიდან მოდის მისი გვარი, რა გზა გამოიარა დღემდე და რას ფიქრობს სამომავლოდ. გაუფრთხილდეს არა მარტო საკუთარ გვარს, არამედ გვარის შეკავშირებით ყოველმხრივ აიმაღლოს გვარი შვილთა პატრიოტული სულისკვთება, განამტკიცოს სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილი გრძობა, ღირსეული წვლილი შეიტანოს ერის გამთლიანება-სრულყოფაში.

საგვარეულო დარბაზს იმეორეც არასდროს დღეს ესაჭიროება სააგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობის გააქტიურება, რათა ყველა გვარმა გაითვალისწინოს ერის წინაშე არსებული უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები და წარმატებით გადამწყვიტოს ისინი. ერთ ხშირ გვარებში სგან შედგება.

მკითხველებს შეეხსენებთ, ის რაც ზემოთ ვთქვით, ეს ზოგადი ფრაზები არ გეგონათ, საგვარეულო დარბაზის წევრები დღენიდაღა ზრუნავენ ქართულ გვარებში არსებული უამრავი პრობლე-

მის გადაწყვეტისათვის, ერისა და ბერის ერთობლივი საქმიანობით ქვეყნის განვითარებაში ღირსეული წვლილის შეტანისათვის.



გაითვალისწინოს საქართველოს პატრიარქის ილია მეორის მონაღება - თითოეულმა ქართველმა უნდა იცოდეს საკუთარი გვარის ისტორია, ეს უდიდესი ეროვნული საქმეა და მიზნად უნდა დავისახოთ მისი საფუძვლიანი შესწავლა. ქართული გვარების ისტორია საუკუნეების ითვის, ამიტომ საგულდაგულოა გვარების ამ ძვირფასი საფუძვლის თვალისწინებით გაუფრთხილდეთ და კიდევ უფრო განვითარდეთ.

საგვარეულო მოძრაობა სათავეს 90-იანი წლებიდან იღებს. 2010 წლიდან კი საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ საფუძველი ჩაუყარა სრულიად საქართველოს საგვარეულო დარბაზის შექმნასა და გვარების დალოცვას. დღემდე დალოცვილია 7 ათასზე მეტი ქართული გვარი, რითიც ისტორიული ნაბიჯი გადაიდგა ქართული გვარების კეთილშობილი მისიის შესასრულებლად.

ერის გამრავლების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობისაა პატრიარქის მიერ ოჯახებში დაბადებული მესამე და მომდევნო შვილების მონათვლა, რამაც უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ქართულ გვარებში. სასიხარულოა ისიც, რომ პატრიარქის ხელმოწერილი ნათლობის მონობები ოჯახებში ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზეა გამოკრული, რითაც ხაზი ესმევა ქართული გვარების დიდ პატრიოტულ მი-

სიას და პატრიარქისადმი უდიდეს სიყვარულს და პატივისცემას.

ტელეგადაცემაში მონაწილეებმა ქართული გვარების წარმომადგენლებს მიუწოდეს, ვისაც გვარის დალოცვა სურს კონსულტაციისათვის მოვიდნენ ოფისში, სადაც ყოველმხრივ აღმოუჩენენ დახმარებას, თუ როგორ ჩამოაყალიბონ საგვარეულო კავშირი, როგორ შეადგინონ გვარის შესწავლა, რა დაკავებონ გვარის დალოცვისათვის, რა ღონისძიებები განახორციელონ გვარის გამთლიანება-შეკავშირებისათვის, როგორ შეადგინონ სამოქმედო პროგრამა, შეისწავლონ საკუთარი გვარის წარმოშობის ისტორია, როგორ დაუგეგმონ შირდენ ადგილობრივ ეპარქებს და სასულიერო პირებს და სხვა.

ყველას უნდა ახსოვდეს მარტვილი ჭეშმარიტება, მხოლოდ გლობალიზაციის პროცესი აქტიურდება რაც ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორც საქართველოა, სასარბიელო სიხსლე არაა. ქართული გვარები ერის ქვეყნობიდან და ახლა ქართულ გვარებს როგორც არასდროს ესაჭიროება შეკავშირება-გაერთიანება, ერთ მუშად შეკრა და სიყვარული, სამშობლოს გადარჩენისთვის ზრუნვა. ეს კეთილშობილი, საპასუხისმგებლო მისია ქართულმა გვარებმა სიცოცხლის ფასად უნდა შეინარჩუნონ და შთამომავლობას შემოუნახონ სასუქუნეების მანძილზე ბრძოლით სიცოცხლის ფასად დღემდე მოზანდილი ჩვენთვის საოცნებო და სასამყო გვარები. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება საგვარეულო დარბაზი.

ახლა მთავარია, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ ქართული გვართა ბრძოლისუნარიანობა და თავდადება, რაშიც უდავოდ გადაწყვეტილია თითოეული გვარის ერთსულოვნება.

**პალაიან ლომია, ლომიძეების საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ყურნალისტი.**

## საღიისო თემაზე არ მიგვიღებენ?... არ მიგვიღებენ?

**ქართული** ოპოზიციურ ტელევიზიებს რომ უსმინო, ძირითადად ორ-სამ თემაზე ტყენ გინას: 1) სააკაშვილს საზღვარგარეთ მკურნალობა ესაჭიროება 2) „ოცნების“ ბრალი იქნება, თუ ევროკავშირში კანდიდატად არ მიგვიღებენ, რადგან ომი უნდა დაგვეწყო რუსეთთან და 3) უკრაინა-რუსეთის ფრონტზე უკრაინელები იმარჯვებენ, მათ ამეროკა-ევროპა მალე თანამედროვე და საჭირო იარაღს მიანვიღოს.

„ოპოზიციური“ ტელევიზიებში „ოცნების ლიდერები“ არანაკლები „დოზით“ ესმინან თავს ნაციონალურს, რომლებიც ქვეყანას უბიძგებენ ომში ჩათრევისაკენ, ფართოდ გააშუქეს პრემიერ-მინისტრის ევროპაში ვიზაჟი (შედარებით ნაკლებად - სალომე ზურაბიშვილის ევროპაში „მოგზაურობა“ და იმედოვნებენ, რომ საქართველოს ევროკავშირში კანდიდატად მიიღებენ და თუ არ მიიღებენ, ეს ნაციონალი ლიდერების ბრალი იქნება, რომლებიც პრეტენზიებით დაიარსებენ ევროპაში ევროპული პარტიების წარმომადგენლებთან და აცხადებენ, რომ დღევანდელი ხელისუფლების პრობლემა საქართველოს ევროკავშირში მიღება არ შეიძლება! ერთი სიტყვით, ქართული პოლიტიკური სპექტრის კულუარები მძაფრი შენობიერი და ურთიერთდაპირისპირებული მუხტით „მუშაობს“.

მართლაც, შეიძლება ითქვას, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას აინტერესებს, საქართველო, ბოლოს და

ბოლოს, გაიკვალავს კი გზას ევროპისაკენ? ეს იგი: **მიგვიღებენ თუ არ მიგვიღებენ ევროკავშირის კანდიდატად?**

**ფაქტია:** რუსეთ-უკრაინის ომმა დააჩქარა საქართველოს ევროინტეგრაციისაკენ სწრაფვა. საქართველოს მთავრობას გაცხადებული ჰქონდა, რომ ამ საკითხს 2024 წლისათვის დააყენებდა. სწორად მოიქცა, რომ იქნარა? მთელმა ევროპამ სამი თვის წინ (ომის დაწყების პირველ დღეებში) მოითხოვა უკრაინის ევროკავშირში მიღება, რადგან საფუძველიც გვექნება უკრაინის დახმარებისთვის. დახმარებაში, პირველ რგვში, იარაღის მიწოდება იგულისხმება, თუმცა ევროკავშირის წევრების უმრავლესობა სწორედ ნატოს წევრები და იარაღი ისედაც მიეწოდება. საქართველოს და მოდლოვას ხელმძღვანელებმა (რომლებმაც კარგა ხანია ევროკავშირის და ნატოს კარების წინ მისაღებად არიან აცხადებდნენ) შეამჩნიეს, რომ ექსტრემალურ (ომის) პრობლემაში უკრაინა შეიძლება მართლაც მიიღონ ევროკავშირში, ამიტომაც კისარებულს“ ამით და თვითონაც შეიტანეს განცხადები ევროკავშირში მიღებაზე. **აბა, პოლიტიკოსობა სწორედ ესაა, რომ სიტუაციით ისარგებლო და დაელოდოს მოახდინო** ევროკავშირის ხელმძღვანელობა და თანხმდა და მათი განცხადებებში მიიღო: უამრავი კითხვარების შეესება და



დაავალა განსახილველად. საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა ბევრი იმუშავეს და დაახლოებით 300 გვერდიანი კითხვარების პასუხი გაუზავნეს. ამას მოჰყვა პრემიერ-მინისტრის ვიზაჟი ევროპაში. და ახლა ყველანი გასუსულები ვართ: მიგვიღებენ თუ არ მიგვიღებენ? რუსეთ-უკრაინის ომის პირველ ხანებში ევროპის ბევრმა ქვეყანამ (ამერიკა-კანადასთან ერთად) ევროპიკური და ფინანსური სანქციები დაუწესა რუსეთს. **მთელ ევროპას აინტერესებდა: საქართველოც დაუწესებდა სანქციებს რუსეთს თუ არა? ირავილი დარბაზი (საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა) სწორი ნაბიჯები გადადგა: სანქციები არ (ვერ) უწა დაუწესა რუსეთს!** ვის მიაყენებდა უდიდეს ზიანს სანქციების დანესება? - ისევ და ისევ მხოლოდ საქართველოს! ამა წარმოიდგინეთ: რუსეთი ჩვენი მეორე სავაჭრო პარტნიორია (ღვინო, ხილ-ბოსტნეული, „ბორჯომი“ ძირითადად იქ გადის), რუსეთიდან შემოდის ჩვენი

სამყოფი ხორბლის 90%, ენერგეტიკა და უამრავი სხვა ნაწარმი, ყველაზე მეტ ფულს რუსეთიდან აგზავნიან ჩვენი ემიგრანტი ქართველები და განადიდნი სისულელე არ იქნებოდა ჩვენგან სანქციების დანესება? ჩვენი ეკონომიკა ნახევარ წელში ჩამოიშლება. გარდა ამისა, უარეს „მტრობას“ მივიღებდით რუსებისგან! ახლა კი გაყუჩდნენ და „არამეგობრული ქვეყნების“ საიმი ალარ გვწერენ. **ცხნ-ვალმა რომ რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვდა რუსეთთან შესაერთებლად, ესეც „დაბოლოვა“ რუსეთში და ამაში, ჩემი აზრით დიდი წვლილი ჩვენგან სანქციების არდაწესებასაც მიუძღვის!**

უფრო დიდი სისულელე იქნებოდა რუსეთთან ომში ჩართვა ვითომ უკრაინელების ფრონტის შესამსუბუქებლად. **ამით დარბაზი უზენესის და პუტინის მსგავსად საკუთარ ხალხს „საზარბაზნე სორცად“ განიარაღდა.** ნაციონალურიც ევროინტეგრაციას უჭერენ მხარს, მაგრამ ევროკავშირში საქართველოს კანდიდატობა არ უნდათ „ოცნების“ ხელისუფლების დროს მოხდეს, რადგან უფრო მეტად შეეშლებათ ხელი, თვითონ მოვიდნენ ხელისუფლებაში. ანალიტიკოსების უმრავლესობა ფიქრობს (და მეც მათ ვუჭერ მხარს), რომ ამჯერად საქართველოს და მოდლოვას არ მიიღებენ ევროკავშირში და ომის გამო მხოლოდ უკრაინა

გახდება ევროკავშირის კანდიდატი (20 წელზე მეტია თურქებს, მაგალითად, ევროკავშირში არ იღებენ). რა მიზეზებია ამისათვის? - ევროპელებიც ხვდებიან, რომ მიუხედავად გარკვეული ნაბიჯების გადადგმისა, საქართველოში მაინც არ განხორციელებულა მართლმსაჯულების რეფორმები, მათ ეკლად ესობათ აგრეთვე გასულ წლის 5 ივლისის მოვლენებში თბილისში და, საერთოდ ტრადიციების მოყვარული ქართველების ნეოლიბერალებთან ხისტი დაპირისპირება (რაც ბუნებრივია! უფ.)

ვთქვით, მიგვიღეს ევროკავშირში, მერე ამით რა ხერხს ნახავს საქართველო? ბევრი ვერაფერს (ჩემი აზრით). ჩვენი პრობლემა (მაგალითად „ბორჯომი“) შევა ევროპაში? როგორც ახლა, ჩვენს პრობლემებს არც მერე შეუშვებენ. ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორები ისევ თურქეთი და რუსეთი დარჩებიან. ამბობენ, ევროკავშირშიც გასტუმრდით; აგერ ინგლისიც ხომ გამოიყურა. იქ მიღებით რუსეთთან უფრო გაგიმძაფრდება ურთიერთობა; **იქნებ ვიღაც: ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები უნდა - „ნეიტრალიტეტს“ მივაქციოთ უფრო დიდი ყურადღება, ჩრდილოეთის „დათვს“ ვეფეროთ და დროთა განმავლობაში აფხაზეთი და სამაჩაბლო დავიბრუნოთ?**

**შუამნი ჯანგიკაშვილი**  
იყო, როცა ევროპარლამენტში მიმართ რეზოლუცია განსხვავებით საქართველოს მიმართ შედგენა 23-24 ივნისს. უფ.

# გენდერმედიაციონტრის პრეზენტაცია

**3 ივნისს**, ახალდაბაში, მედიაციული პროექტის „ფონდი ტასოს“ მხარდაჭერით ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების ინსტიტუტი (CSMDI), რომლის პარტნიორებიც არიან: მედიაციული „ლუტრეზი“ (სადაც გენდერმედიაციონტრის ოფისი იქნება განთავსებული), ასევე - „სამცხე-ჯავახეთის სათემო განვითარების ცენტრი“, ქალი და არჩევანი“ და „ამერიკული კუთხე საშურში“.

ახლანდელი, რომ სწორედ საშურის ამერიკული კუთხის პროექტით, ახალდაბის არაფორმალური განათლების საზოგადოებრივი ცენტრისათვის მიღებული ტექნიკური აღჭურვილობის სამოქალაქო აქტივიზმის გენდერმედიაციონტრის გამოიყენებს. პრეზენტაცია გაიმართა მედიაციული ენობაში, ლია სოფრეში და მას ადგილობრივი ახალგაზრდებთან თუ სოფლის მცხოვრებლებთან ერთად, ესწრებოდნენ ახალდაბის გამგებელი, ავთანდილ ცერცვაძე და ბორჯომიდან და საშურიდან მონაწილე სტუმრები: ბორჯომის საკრებულოს მეთორმეტე დეპუტატი ვილელა ბალანაშვილი, საკრებულოს ქალთა ოთახის კოორდინატორი ნინა ლურსმანიშვილი, საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მავა მანჯავიძე, გენდერზე პასუხისმგებელი პირი ბორჯომის მერიაში სოფო მუშაძე, პარლამენტის მეთორმეტე დეპუტატის ანტონ ოზარულაშვილის - ბორჯომის ბიუროს კოორდინატორი მარია სომონიშვილი, „საშურის ამერიკული კუთხის“ ხელმძღვანელი - ქეთი მებრევილი.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, „ახალდაბის სამოქალაქო აქტივიზმის გენდერმედიაციონტრმა“ უნდა შემოიკრიბოს ადგილობრივი ახალგაზრდები, მათ შორის - მოზარდი გოგონები თუ ახალგაზრდა ქალები და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით ხელი შეუწყოს მათ გააქტიურებას, ცნობიერების ამაღლებას ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე, გენდერული პრობლემების, ქალთა აქტივიზმის, უფლებების დაცვის, ლიდერობის და სათემო



ინიციატივების პრაქტიკულად განხორციელების გზების შესახებ.

მედიაციული „ლუტრეზი“-ში ახალგაზრდებისთვის, გოგონებისა თუ ქალებისათვის მოწყობა სპეციალური ტრენინგები, სადაც ისინი პროფესიონალი ტრენერებისგან მიიღებენ ინფორმაციას სხვადასხვა თემატიკაზე, რათა მომავალში თავად შეძლონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, თემის საჭიროებების კვლევა, ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე არსებული პრობლემების დაყენება, აქტიურობის და ადვოკატირება.

პრეზენტაციის ფარგლებში დაგეგმილია სათემო ინიციატივების შედგენა და თანამშრომლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან, საკრებულოსთან არსებულ გენდერის საბჭოსთან, საკრებულოს ქალ დეპუტატებთან, ქალთა ოთახის წარმომადგენლებთან და მერის გენდერსპეციალისტთან; ახალგაზრდები გაეცნობიან მოქალაქეთა აქტიურობის, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების ზოგადი პრინციპებს და პრაქტიკაში გამოიყენებენ მეთოდებს. ტრენინგზე მოისმე-

ნენ, როგორ გაეხდეთ აქტიური მოქალაქეები ანუ მოქალაქე უფრთხილები, რა არის სოციალური მედია და სამოქალაქო აქტივიზმი; გაეცნობიან ახალი მედიის მუშაობის მეთოდებს, როგორ იქმნება მულტიმედიური და ინტერაქტიული ინტერნეტ-პროდუქტი.

გარდა ტრენინგებისა, პროექტი ითვალისწინებს წარმატებული ქვების მონაცვლე გენდერმედიაციონტრში და მათი ისტორიების მოსმენას და გამოცდილების გაზიარებას; ასევე, პროექტით დაგეგმილია შექმნილი ფილმების ჩვენება და დისკუსიები. მაგალითად, მედიაციული ენობაში მოწყობა გენდერულ პრობლემათიკასთან დაკავშირებული ფილმების ჩვენება დიდი ეკრანზე პრეზენტაციის დღეს უკვე გაიმართა ცნობილი ქალი ფოტოგრაფის, ნათელა გრიგალაშვილის slaidSou da diskusia-dialogi; ასევე მცხოვრები ქალები/გოგონები - პრობლემები და პერსპექტივები;

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - პროექტს გრძელვადიანი პერსპექტივა აქვს. „სამოქალაქო აქტივიზმის გენდერმედიაციონტრ“ არსებობას გააგრძელებს პროექტის ვადის ამოწურვის შემდეგაც, რადგან ფაქტობრივად კვლავ იარსებებს ამ ცენტრისთვის საჭირო სივრცე, ტექნიკური აღჭურვილობით. დატრენინგებული ახალგაზრდა ქალები და მოზარდი გოგონები კი შეძლებენ სხვა მეგობრებზე აიყოლიონ და მიეღებულნი იქნებიან მათაც გაუზიარონ. მომავალში, ვფიქრობთ, რომ გეოგრაფიული არეალზე გაიზრდება და პროექტი ჩაერთვება ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები ქალები თუ გოგონები. მედიაციული „ლუტრეზი“-სა და გენდერმედიაციონტრის საკონტაქტო მონაცემები:

**მისამართი: ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ახალდაბა, ნიკო ნიკოლაძის ქ. №19**  
**გენდერმედიაციონტრის ხელმძღვანელი, პროექტის დირექტორი - ნატო (გული) 599107794.**

**იზა იანვარაშვილი**

# პეიზაჟი ჩვენი დროის პეიზაჟი

**ნათია სამონიძეს** ლიკანის №3 საბავშვო ბაგა-ბაღიდან ეცნობა, როგორც ყველაზე აქტიური მოზარდი. იქ მას თავისი ქალაქი ბარბარე და დემეტრე დაეყვანა. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ სამსახურის საქმეებში იყო ჩართული, საბავშვო ბაღში ყველა პედაგოგსა თუ მოზარდს ნებისმიერ დროს შეიძლება დაეხმოს მისი იმედი. მასთან თავიდანვე განსაკუთრებულად თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჩამოიყალიბდა, რადგანაც ის, თვითონ გახლავთ საოცრად უშუალო და კონტაქტური პიროვნება. ნათია სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში“ ადმინისტრატორად მუშაობდა. შემდეგ ბავშურაში ინგლისურ ენაშიც. მისი მუდმივი ჯიკო ღონდაცეც საოცრად მშრომელი და საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება გახლავთ. ჯიკო წლების მანძილზე ბორჯომში საცხენოსნო ტურიზმის მიმართულებით მუშაობდა. თუმცა, პანდემიამ ჯიკოს ბიზნესზე უდიდესი გავლენა იქონია. სწორედ პანდემია გახდა იმის საფუძველი, მიუხედავად დაეცვინათ ქვეყანა. ნათია და ჯიკო თავდაპირველად უმცროს ვაჟთან, დემეტრესთან ერთად 8 თვის წინ წავიდნენ პოლონეთში. ცოტა ხნის წინ უფროსი ბარბარეს წაყვანაც მოახერხეს.

ემიგრანტების ცხოვრებაზე ხშირად ვნერთ ხოლმე. რუსეთ-უკრაინის ომიდან გამოდინარე, სწორედ პოლონეთი აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც უკრაინიდან დევნილი მოსახლეობა თავისთან შეიფარა. აღნიშნულმა ომმა უდიდესი გავლენა იქონია იქ მომუშავე ადამიანებზე და განსაკუთრებით, საქართველოდან ჩასულ ემიგრანტებზეც. ნათიას პოლონური ცხოვრებისა და მისი სამომავლო გეგმების შესახებ სასაუბროდ სოციალური ქსელის მეშვეობით დავეკონტაქტეთ:

**● ნათია რამდენად რთული იყო გადამწყვეტილების მიღება, რომ ემიგრაციაში წასულიყო, თანაც თავდაპირველად არასრული შემადგენლობით და რა იყო ის, რის გამოც გარისკეთ და წახვედით?**

ყველაწარმო მცდელობა იმისა, რომ ბორჯომში ჯიკოს თავისი სამსახური შეინარჩუნო, რასაც წლების მანძილზე სიყვარულითა ემსახურებოდა პანდემიის პერიოდში სრულიად უშედეგო აღმოჩნდა. მეც სამსახურთან ერთად მიქონდა სტუდენტობა შეთავსებული, (ინგლისური ენის ფილოლოგიაზე სწავლობდი), მხოლოდ პირველი კურსის დასრულება მოვახერხე. სამსახურად, არ გვაქვს სახლი, წლების განმავლობაში ძირითადი ვცხოვრობდით. ხშირად ქირის ფული გადაგვიხდებოდა და სხვა რამისთვის ფული აღარ გვქონდა. ახალი უბნის დასახლებაში ძველ ვეტლბორატორიაში გვქონდა ორი ოთახი აღებული დროებით და რასაც ჩვენი სახსრებით ვახერხებდით ვარემონტებდით. პოლონეთში ჯიკოს ძმა ცხოვრობს და მხოლოდ ამაზე მოგვცა იმის ძალა, რომ გავგვერსკა და წამოგვსულიყავით. შეძლებისდაგვარად ვფლობთ პოლონურ სასაუბრო ენას, ცვდილობთ ავეწყით აქაური ცხოვრების რიტმს.

**● რა იყო ყველაზე რთული და ამბავდროულად მარტივი ემიგრაციის პირველ დღეებში?**

- რთული იყო ის, რომ მომიწია ერთადერთი ავადმყოფი დედის დატოვება, მას რთული ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს და ყველაზე მეტად სწორედ ეს გამიჭირდა. შვილის დატოვება, რომელიც სკოლის მოსწავლეა და ვერ მოვახერხებდით თავიდანვე მის წაყვანას. რთულია ემიგრანტის ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ვფლობთ ინგლისურს, რუსულს შეძლებისდაგვარად, აქ ამ ქვეყანაში უცხო ენაზე არ გესაუბრებიან. ისინი აქ უდიდეს პატივს სცემენ საკუთარ ენას. გაგიმართლა იმაში, რომ ჯიკოს ძმა და მისი მუდმივი ცხოვრებენ ვარშავაში. მის ყოფილ სამსახურში, სადაც უფროსთან შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა და ეს ადამიანი საქართველოში ჩვენთანაც იყო ნამყოფი, გვიცნობდა, იცოდა ჯიკოს შრომის-მოყვარეობის შესახებ და სწორედ ამ ადამიანთან დავინწყეთ ქათმების ფერმაში მუშაობა. ძალიან ყურადღებიანები არიან. ცდილობენ, რომ თავი კომფორტულად ვიგრძნოთ. ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერში გაგიმართლა და მადლობა უფაღს ამისთვის.

**● დემეტრესთვის რამდენად რთული აღმოჩნდა ახალი გარემო, ახალ მეგობრებთან შეგუება?**

- დემეტრე ბაღში მიყვანის დღიდან ყველაზე უდიდესი სიბოთი მიიღო. თუმცა, ენის ბარიერი იყო ყველაზე რთული. ვფიქრობ არის სასკოლო, სადაც ყველა ბავშვიც იცოდა წერა-კითხვა. დიდი ძალისხმევით შევძელით ის, რომ თვენახევარში დემეტრემ შეძლო წერა-კითხვის დაუფლება და სასწავლო პროცესში ჩართვა.

**● ცოტა ხნის წინ ბარბარეს ჩამოვიდა თქვენთან. როგორ გაისწნებ იმ ემოციას, 8 თვის შემდეგ, როდესაც პირველად შეხვედით ისევ?**

- სანამ ჩამოფრინდებოდა, თითქმის დრო გაინელა. რთული ყოფილა ამდენი თვის შემდეგ აეროპორტში შვილის მოლოდინი. იყო უდიდესი ბედნიერება, რომელიც ჩემი მეხსიერებიდან არასდროს გაქრება. ყველა დედას ვუსურვებ, რომ ვინც ემიგრაციაშია, მალე ჩაეკრათ საკუთარი შვილები გულში. დღეს ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილები ჩემთან არიან.

**● აუცილებლად უნდა გკითხო რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით. პოლონეთი აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც ყველაზე მეტი რაოდენობის ლტოლვილი მიიღო უკრაინიდან. რა შეცვალა უკრაინის ომმა პოლონეთისთვის?**

- უკრაინის ომმა მთლიანად შექრა მსოფლიო. ის, რაც ჩვენი საკუთარ თავზე გამოცდად 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, მე პირადად საკუთარ თავზე აღარ მინდა გამოვცადო. პოლონეთში საზღვართან ელოდებოდნენ უკრაინელებს. ჩვენც შევიტანეთ წველი უკრაინელთა დახმარებაში. თუმცა, სიტუაცია ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით მალევე სასიკეთოდ დაიკარგა. ვფიქრობ.

**● რა განსაზღვრებით ყველაზე მეტად საქართველოში, რაზე ოცნებობ და რას ეტყობი ემიგრანტებს?**

- მენატრება დაჩქარებული ცხოვრების ტემპი, მეგობრებთან ვინჯანი ყავა, ლექციებზე დასწრება, დატვირთული შუადღე, ადამიანები, რომლებმაც ყოველდღიურად ვურთიერთობდი. თუმცა, მადლობა უფაღს, რომ ახლა არის რაღაც ძვრები იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი უბნის დასახლებაში აშენდება კორპუსი და თუკი ეს მოხდება, ეს ყოველთვის დააჩქარებს ჩვენი სამშობლოში მალე დაბრუნების პროცესს. რაც ჩვენი აქ წამოსვლის მიზეზი, უმთავრესი საზრუნავი და საფიქრალია. იმედს ვიტოვებთ, რომ შევძლებთ და ავისრულებთ დასახულ მიზანს, რომ გვექნება ჩვენი კუთხე და ამაში სახელმწიფოც დაგვეხმარება. ემიგრანტები მალე ჩვენი დროის გამორები ვისურვებდი, ჩვენი კერა არ გაგვეციებინოს.

**ესაუბრა ნატო მელიქიძე**

# სად მდებარეობს ისტორიული თორი?

**ციხისჯვარი** პირველად იხსენება XI საუკუნეში. ამის შემდეგ იგი ხშირად მოხსენიებულია საისტორიო წყაროებში და მის მფლობელებად ჯაყელები-ციხისჯვარელები გვევლინებიან (გვარის დასახელება ალბათ წაყვას ციხისმფლობელებიდან წარმოსდგება).

XIII საუკუნეში ჯაყელ ციხისჯვარელებმა ათაბაგობა მიიღეს, სამცხის მთავრებიც იყვნენ და მის სასაღარებოდაც იწოდებოდნენ. აქამდე მიჩნეული იყო, რომ ჯაყელ-ციხისჯვარელები რეზიდენცია-ციხისმთავრე მდებარეობდა თორის მხარეში თორთან ახლოს 4-5 კილომეტრზე, იქ სადაც დღეს სოფელი ციხისჯვარია (ბორჯომის ხეობის სოფელი ციხისჯვარი) და სადაც ისტორიული ციხის სამირკველი და გალავანი დღემდეა შემორჩენილი. უკანასკნელ პერიოდში ისტორიული ციხისჯვარის დაბა თორთან ახლოს არსებობდა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუხსელიშვილის აზრით ისტორიული ციხისჯვარი მდებარეობდა ოძრის (აბასთუმანი) ადგილობრივით, ანუ თორის ჩრდილოდასავლეთით.

არსად არ არის დასახელებული. ვახუშტიც ციხისჯვარის თორთან ახლომდებარედ ასახელებს. იგი წერს: „ამ სადგურს ზეით დასავლეთ არს დაბა თორი, იმას ზეით ციხისჯვარი და ციხე მისი შავწყალსა ზედა დასავლეთისაკენ.“ შეიძლება და ამ საკითხზე კიდევ მრავალი საბუთი მოგვეტანა.

მაგრამ ის რაც ამ დებულების დასადასტურებლად მოვიტანეთ, საკმარისია იმისთვის, რომ დანამდვილებით ვთქვათ: ისტორიული ციხისჯვარი მდებარეობდა დაბა თორის ახლოს და წარმოადგენდა თორთან ერთად დიდი მნიშვნელობის ისტორიულ და დამინსტრაციულ პუნქტს თორის მხარეში. იგი ჯაყელ-ციხისჯვარელთა რეზიდენცია იყო.(?)

როგორც დასახელებულია წყაროებიდან ჩანს, ჯერ კიდევ თორის ძლიერების ხანაში იწყება ციხისჯვარის ამაღლება. რატომ უნდა მომხდარიყო ერთ საეროსთაოში, თორის გვერდით ციხისჯვარის დანიშნულება? ეს მეტად საინტერესო საკითხია, ამის მსგავსი საქართველოს ისტორიაში თითქმის არ გვხვდება და კვლევა-ძიებას მოითხოვს. ისმის კითხვა, ვინ არიან ჯაყელები, საიდან მოვიდნენ ისინი ციხისჯვარში?.

ასეთია წიგნის ავტორის მოსაზრება ამ საკითხზე. თორის გვერდით არსებული ციხისჯვარი რომ ჯაყელ-ციხისჯვარელთა რეზიდენცია იყო ამის გაზიარება შეუძლებელია მის მიერ უგებთ მოყვანილი არგუმენტები (აზურ-ჯისტიანის ვილიაიეთის დიდი დავითი, ვახუშტი ბატონიშვილი) ნამდვილად ქება თორის გვერდით მდებარე ციხისჯვარის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამცხეში არ არსებობდა. მეორე ციხისჯვარი, რომელიც ნამდვილად იყო ჯაყელ-ციხისჯვარელთა რეზიდენცია. (XII საუკუნის პირველ ნახევარში ახალციხე თორელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.) ან კი როგორ შეიძლება ორ და-

ბრისპირეულ; საგვარეულოს რეზიდენციები 5 კილომეტრის დაშორებით ერთდროულად არსებობდნენ? ქვემოთ მოვიყვანთ საკმარისი არგუმენტების ამის დასამტკიცებლად.



XIII საუკუნეში მონღოლებს დაეით ულუ და სარგის ჯაყელი აუჯანყდნენ და დაუპირისპირდნენ. ჩილელობა გამოაცხადეს აკად. ივანე ჯავახიშვილი ასე გადმოგვცემს ამ დაპირისპირების ერთ პიზონდს: „პულაგუ ყაენმა 1261 წელს მონღოლთა და ქართველთა შეერთებული ლაშქარი კვლავ სამცხეს მიუტია. ამ დროისთვის თვით სამცხის მოსახლეობაშიც განხეთქილება იქონია თავი. ბრძოლის გაგრძელება და წინააღმდეგობის განცევა ტყუილბრალე სისხლის ღურად მიჰნდებოდა, ხოლო ზოგი შებრძოლების მაგიერ მონღოლებს შეეგებნენ კიდევც თუმცა მონღოლთა ლაშქარი სამცხეს 20 დღის განმავლობაში აოხრებდა, მაგრამ ასეთი განხეთქილების პირობებშიც არ აღუწია ჯაყელთა მთავარი საჯდომისა და ბურჯის ციხისჯვარის ალბა მაინც ვერ შექმნილი“, რა თქმა უნდა, ეს ციხისჯვარი სამცხეშია.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „კვალად იწყო ლიპარიტ ქუე გამხედველია, გამოიტყუა დედოფლისგან ანის და შეიპყრნა აბუსერ არჯანუჯის ერისთავი, ხისა ციხისჯვარის ძე, იოვანე ერისთავი, იოვანე დადიანი, გუერის ბექის-ციხისა და ანყურის ციხის პატრონი.“

**თამაზ ჩიქაძე.**  
**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „ბორჯომი“ №1622, 23.**

სალოტბარო სკოლის კონცერტი



ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის მნიშვნელობაზე საუბრისას ბორჯომის საზოგადოებას ვინ ახსენებდა თუ არა ლელა მუხურაძე...

ბორჯომის თოჯინების თეატრის სცენაზე 13 ივნისს სალოტბარო სკოლის სოლო კონცერტი გაიმართა. შესრულდა არაერთი ტკბილი სიმღერა...

მრავალჟამიერი დაგვიშვიდობნენ ბორჯომის სალოტბარო სკოლის აღსაზრდელები.

მონიკა ქანჭავია.

ღირსეულად განვლილი წლები

ამას წინათ საქართველოს ვეტერან ენერგეტიკოსთა კავშირისა და შრომის ინსპექციის თანამშრომლებმა ენერგეტიკის დამსახურებულ ინჟინერს, ჩვენ თანამემამულეს ბატონ ავთანდილ (თენგიზ) გელაშვილს დაბადების 88 წლის და შრომითი მოღვაწეობის 70 წლისთავი მიულოცეს.



სამშენებლო ტრესტის პარტორგანიზაციის მდივანად, მისი წარმატებული ორგანიზატორული მუშაობის შედეგად შრომითმა კოლექტივმა რამდენიმე წელიწადში აღადგინა 1968 წლის წყალდიდობის შედეგად დაზარეული მტკვრის 7 კილომეტრიანი საყრდენი კედლები.

ბატონმა თენგიზმა 1966 წელს დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკის უნივერსიტეტი და წარმატებით მოღვაწეობდა იქვე არსებულ სამეცნიერო ლაბორატორიაში, ჯერ უმცროს, ხოლო კონკურსში გამარჯვების შემდეგ უფროს მეცნიერ მუშაკად. მომდევნო წლებში ბატონი თენგიზი ნაყოფიერად შრომობდა საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენაზე, სადაც ექსპონირებას უკეთებდა შესაბამის ინსტიტუტის მიერ გამოშვებულ სანარმოო პროცესების ავტომატური მართვის ხაზებსა და ახანადგარებს, რისთვისაც გამოფენის დირექციამ ფულადი პრემიით და სიგელით დააჯილდოვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი თენგიზი 4 გამოგონების და 23 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

წამებინა ორგანიზაცია რესპუბლიკაში ერთ ერთ წარმატებულ რობიეტად ჩამოყალიბდა, ამ ღვაწლისათვის თენგიზი დააწინაურეს და თბილისის ავტოტექნომსახურების გაერთიანების მთავარ ენერგეტიკოსად დაანიშნურეს, ამასთან უნარიანად ხელმძღვანელობდა 17 ავტოტექნომსახურების სადგურს და 22 ავტომექანიკურ სამრეცხაოს.

სხვადასხვა წლებში თენგიზი წარმატებით მუშაობდა თბილისის ჩარმშენებელი ქარხნის მთავარ ენერგეტიკოსად, საქართველოს შრომისა და სოციალური დახმარების სამინისტროს შრომის ინსპექციაში მშენებლობის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის დაცვის უფროს ინსპექტორად, 2005 წლიდან დღემდე ბატონი თენგიზი მოღვაწეობს თბილისში მიმდინარე მშენებლობის ობიექტებზე შრომისა და უსაფრთხოების დაცვის უფროსად. არის საქართველოს ბიზნეს ტექნოლოგიების აკადემიის სერტიფიკატის მფლობელი.

ბატონ თენგიზ გელაშვილის განვლილი შრომითი გზა ღვაწლმოსილი პროფესიების სამშობლოს, მშობლიურ ბორჯომის უსაზღვრო სიყვარულის ნათელი დასტურია, სოლიდური ასაკის მიუხედავად, დღესაც მხნედ გამოიყურება და მომავალს ოპტიმიზმით შეჰყურებს.

ვაკარიან ლაითიაკი

გაყვალა ელიზაბეთის განსვენება

თვალის დახამამებაში გაირბინა ენთა ნელმა, გაირბინა უშეროდ, სიკარველესა და დაგვაკლდი, მოგვენატრე ყველას. რთულია სახლში მისვლა, სადაც აღარ ხარ, აღარ ისმის შენი ომახიანი ხმა, შექაზილება. ყველასთვის მოსიყვარულე, მოამბე და მზრუნველი იყავი. შენი ცხოვრების ბოლო წლები მხოლოდ ერთ ნატვრაში გაატარე, გინდოდა შენს შვილთან გარდაცვალებიდან 17 წელი გავიდა 22 მაისს, 26-ში კი 53 წლის გახდებოდა. ნეტავ ორივე ერთად მოსწრებოდათ ბევრ სიხარულით სავსე დღეებს.



ყველასთვის ერთად ილოცეთ სასუფეველიდან. ჩვენ კი ყოველთვის აგინებთ სანთლებს. მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაფრული მინა, ჩვენო მონატრებულეო.

ოჯახი, შვილები.

იყიდება

რუმინული წარმოების მეორადი ავეჯი „სტენკა“ - გელაუსი, რბილი სამეულთა (საძინებელი ორი სანოლით) კარგ მდგომარეობაში. წიგნების შვიდი თარო, რკინის ნაკეთობებისა და თუნუქის სახურავის სარებავი 18 კგ-ნი ტურქლით. ფასი: ავეჯის კომპლექტი - 2500 ლარი;ნიღბის თაროები - 1 ცალი - 30 ლარი; საღებავი 1 ვედრო - 65 ლარი; დეკორატიული ტელ 599 541 663.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2 ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თედორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru

სამართლმცოდნეობის უნივერსიტეტი

მაღალი ხარისხის ჯანდაცვაზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის გარდა მისი და პაციენტთა საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ უპრეცედენტო პროექტი დაიწყო. „იშვიათი დაავადებების მკურნალობის და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობის დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სასელმნიფო პროგრამაში ცვლილებების შედეგად, ყველა პაციენტი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრეპარატს უფასოდ მიიღებს.

ლი იყო. სპინალურ-კუნთოვანი ატროფიის სამკურნალო პრეპარატის ერთი ფლაკონის ღირებულება 7485 დოლარია, რაც 12 დღის დოზას შეადგენს. მედიკამენტის გამოყენება ხელს უწყობს სპინალური კუნთოვანი ატროფიის მკურნალობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას. მედიკამენტის გაცემის პროცედურა მარტივია - ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის გავლის შემდეგ ბენეფიციარის წარმომადგენელი, პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე, ავთიაქში წამალს უფასოდ მიიღებს.

ბენეფიციარების უმეტესობისთვის, დაავადების მედიკამენტური მკურნალობა მაღალი ფასის გამო მიუწვდომელი იყო.

ზეიმი საჩვენებელმა კონცერტმა დაამშვენა



ნავსი გატეხილია. პანდემიის დასრულების შემდეგ არ ცხრება აქტივობები ბაკურიანის კინოთეატრ „დიდვლში“. 10 ივნისს კობა ნაქაძისადმი მიძღვნილი საღამოს, ბაკურიანის საჯარო სკოლის გამოსასვლელი კლასის ზეიმის და „არტ იმედის“ თოჯინების თეატრის შემდგომ ბაკურიანელმა ქორეოგრაფმა გვანცა უგრელიძემ თავისი ალსაზრდელების საჩვენებელი კონცერტი წარუდგინა თანადახლებს. გვანცა რამდენიმე წელია, რაც ქართული ცეკვების წრეს ხელმძღვანელობს, თუმცა პანდემიის დროს მასაც, ისევე როგორც ყველას გარკვეული შეფერხებები ჰქონდა. თუმცა ახლა, ბოლო რვა თვის განმავლობაში დაუშვებელი საცეკვაო ნომრები წარმოადგინეს ნორჩმა მოცეკვავეებმა. ისინი ძირითადად ბაკურიანის საჯარო სკოლის დაბალი კლასების მოსწავლეები და საბავშვო ბაღის ბავშვები არიან.

ეს ჩვენი პირველი ნაბიჯია წარმატებული მომავლის გზაზე. ვიმედოვნებ, რომ მომავალში უფრო მრავალფეროვან და სანახაობრივ ნომრებს წარვუდგენ მაყურებელს. მკაცრად ნუ გავსჯით ჩემს პატარა მოცეკვავეებს და მეც, ჩვენ ყველაფერი გავაკეთებ იმისათვის, რომ ეს პატარა კონცერტი ჩაგვეტარებინა. დიდი შრომა და მიწოდებაა ჩადებული ამ ყველაფერში, უღრმესი მადლობა მშობლებსა და იმ ადამიანებს, ვინც გვერდში მდგანან, - განაცხადა ახალგაზრდა ქორეოგრაფმა.

რუსუდან სხირბლაკა

ის სინაზა

ყულაგი მდიდარი და ღარიბი ძეგლები

ცხოვრების დონე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია და შესაბამისად სიმდიდრეც არათანაბრადაა გადანაწილებული. ზოგან ხელგაშლილად ცხოვრობენ, ზოგან შიმშილობა და საკვები ენატრებათ. გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად შიმშილობით 25 ათასი ადამიანი იღუპება, მათ შორის უმრავლესობა ბავშვია. ერთი მილიარდი ადამიანი დღეში 1 დოლარით ცხოვრობს, ხოლო 2,5 მილიარდი ადამიანის ყოველდღიური შემოსავალი დაახლოებით 2 დოლარია. მსოფლიოში სიმდიდრის განსაზღვრულია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მ.შ.პ) წარმოება ერთ სულ მოსახლეზე. სწორედ ამ შედეგებით გამოვლინდა ყველაზე მდიდარი და ღარიბი ქვეყნების სტრუქტურა.

ღარიბი მსოფლიოში ახალაა მდიდარი ქვეყნები

- 1. ყატარი - ნავთობის მარაგით უმდიდრესი ქვეყანა. მოსახლეობის რაოდენობა 2,1 მილიონი ადამიანი; მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება 211,8 მილიარდი დოლარი. ერთ სულზე ეროვნული შემოსავალი 139770 დოლარი. სიცოცხლის ხანგრძლივობა 78,6 წელი. 2. მაკაო - (სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი ჩინეთში) მსოფლიო აზარტული თამაშების ცენტრი. მოსახლეობის რაოდენობა - 578 ათასი ადამიანი. მთლიანი შიდა პროდუქტი - 55,5 მილიარდი დოლარი. ერთ სულზე ეროვნული შემოსავალი - 118120 დოლარი. სიცოცხლის ხანგრძლივობა - 80,5 წელი. 3. ქუვეითი - მდიდარი ნავთობით. მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა მარაგების მოცულობით. მოსახლეობის რაოდენობა - 3,755 მლნ ადამიანი. მთლიანი შიდა პროდუქტი - 175 მილიარდი დოლარი. ერთ სულზე ეროვნული შემოსავალი - 82210 დოლარი; სიცოცხლის ხანგრძლივობა - 75 წელი. 4. სინგაპური - შემოსავალი მთლიანად ვაჭრობაზეა დამოკიდებული. უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი მსოფლიოში. მოსახლეობის რაოდენობა - 5,560 მილიონი ადამიანი; მთლიანი შიდა პროდუქტი - 310 მილიარდი დოლარი; ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 80270 დოლარი. სიცოცხლის ხანგრძლივობა - 82 წელი. 5. ბრუნეი - ნავთობით მდიდარი ქვეყანა. ექსპორტი 2,5-ჯერ მეტია იმპორტზე. მოსახლეობის რაოდენობა - 500 ათასი ადამიანი. მთლიანი შიდა პროდუქტი - 17,5 მილიარდი დოლარი; ერთ სულზე შემოსავალი - 72200 დოლარი. სიცოცხლის ხანგრძლივობა - 79 წელი.

ახალაა მდიდარი ქვეყნები

- 1. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა. სიღარიბის დონე 62%-ია. მოსახლეობის რაოდენობა - 4,9 მილიონი ადამიანი; მთლიანი შიდა პროდუქტი - 1,8 მილიარდი დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 600 დოლარი; სიცოცხლის ხანგრძლივობა 50 წელი. 2. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა. (გაეროს მონაცემებით კონგოს ნახევარი მილიონი მოსახლე ლტოლვილია) მოსახლეობის რაოდენობა - 75 მილიონი ადამიანი; მთლიანი შიდა პროდუქტი - 33 მილიარდი დოლარი; ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი - 650 დოლარი; სიცოცხლის ხანგრძლივობა - 49,5 წელი. 3. ლიბერია - მოსახლეობის დაახლოებით 90 პროცენტი დღეში 1,3 დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს. მოსახლეობის რაოდენობა - 4,5 მილიონი ადამიანი; მთლიანი შიდა პროდუქტი - 2 მილიარდი დოლარი; ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი - 700 მილიონი დოლარი; სიცოცხლის ხანგრძლივობა - 60,5 წელი. 4. ბურუნდის რესპუბლიკა - ამ ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა; მოსახლეობის რაოდენობა - 10,8 მილიონი ადამიანი; მთლიანი შიდა პროდუქტი - 3,1 მილიარდი დოლარი; ერთ სულზე შემოსავალი - 770 დოლარი; სიცოცხლის ხანგრძლივობა - 54 წელი.

მადრიდის რესპუბლიკა

კორუფციის გამო ბიუჯეტში უცხოური დახმარების მცირე ნაწილი ხვდება. ამ ქვეყანაში 16,5 მილ. ადამიანი ცხოვრობს. ერთ სულზე საშუალოდ 790 დოლარის შემოსავალია. სიცოცხლის ხანგრძლივობა 55 წელია.

საქარის საპროექტი

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 1200 დოლარს. მსოფლიოში აღიარებული მონაცემებით 900 დოლარიანი ზღვარი გადასწყვეტა ქვეყნის სიღარიბის შეფასებისას. ანუ თუ მთლიანად ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 900 დოლარზე ნაკლებია, ქვეყანა ღარიბთა რიგებშია, ხოლო თუ 900 დოლარზე მეტია, განვითარებად ქვეყანების რიგშია.

საქართველოს მოსახლეობა 3,7 მილიონია, საზღვარგარეთ გასულია დაახლოებით 1,8 მილიონი ადამიანი. საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა - 76 წელი შეადგენს.